ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

პარლამენტის წევრობის ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოს პარლამენტი და მსოფლიო საკანონმდებლო გამოცდილება

„ახალგაზრდა ადვოკატების" დასკვნა

2012, ივლისი

pryoungbarristers@yahoo.com pryoungbarristers@gmail.com

საქართველოში პოლიტიკური პროცესი კანონშემოქმედებითი საქმიანობის ნაწილი ხდება. პოლიტიკური მოთამაშეების მხრიდან შემოთავაზებული საკანონმდებლო წინადადებები უკვე გახდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი და მათზე მსჯელობა ახლაც გრძელდება. მთავარ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს პარლამენტის მომავალი მდგომარეობა, კერძოდ მმართველი პარტიის მხრიდან 80 დეპუტატის ხელმოწერით ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილება პარლამენტის წევრის ასაკობრივი ზღვარის შეცვლასთან დაკავშირებით. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, დღემდე მოქმედი ნორმით კი პარლამენტის წევრების არჩევისათვის დადგენილია მინიმალური ასაკი – 25 წელი. ცვლილების საჭიროება პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტისგან ქართულ პოლიტიკაში ახალგაზრდების მეტი ჩართულობით დასაბუთდა. ,,ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩეული იყვნენ საქართველოს პარლამენტში და წარმოადგინონ შესაბამისი რაიონი და რეგიონი. ეს ხელს შეუწყობს პარლამენტის კიდევ უფრო მეტ წარმომადგენლობითობას და პარლამენტის უფლებამოსილებები გარკვეულწილად გაიზრდება." – ნათქვამია აღნიშნული ცვლილების დასაბუთებისას, თუმცა ცვლილების ნეგატურ გავლენაზე, განმარტებები მხოლოდ საზოგადოებრივ წრეებში გამოითქმის. მათი მთავარი არგუმენტი ახალგაზრდების გამოუცდელობა, არაკომპეტენტურობა და კანონშემოქმედებით საქმიანობაში მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოშველიებაა.

კონსტიტუციონალისტები და ესპერტები განსაკუთრებულ აქცენტს ცვლილების შედეგად ქართული პარლამენტარიზმის დასუსტებაზე აკეთებენ. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ეფექტური იქნება ახალგაზრდების მიერ შემოთავაზებული საპარლამენტო ცხოვრება, რამდენად ითვალისწინებს 21 წლის მოქალაქის შესაძლებლობა გაუმკლავდეს სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებს, როგორი იქნება კავკასიის ურთულეს რეგიონში საქართველოს პოლიტიკური სიმწიფე, ურთიერთობები რუსეთთან, თვითაღიარებულ აფხაზეთთან და ცხინვალთან, სამეზობლო პოლიტიკის ვექტორი და ამ ასაკში მყოფი ადამიანის ეროვნულ–სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, თავისუფლების ხარისხი და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენცია. გამორიცხული არც ის უნდა იყოს, უახლოეს პერიოდში საუბარი დაიწყოს საქართველოში საარჩევნო ცენზის შეცვლასთან დაკავშირებითაც და აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების მეტი ცართულობით იქნეს ახსნილი. ჩემი ვარაუდი 2011 წლის მაისში ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციას ეფუძნება. კერძოდ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თავის წევრ სახელმწიფოებს ამომრჩეველთა ასაკის 16 წლამდე დაწევისკენ მოუწოდა. საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ინფორმაციით, ორგანიზაციის 47 წევრი ქვეყნის უმრავლესობაში, ამომრჩეველთა მინიმალური ასაკი 18 წელს შეადგენს. 2007 წელს ავსტრია პირველი აღმოჩნდა, რომელმაც ეს ასაკი ყველა ტიპის – მუნიციპალური, სახელმწიფო თუ ეროვნული არჩევნებისთვის, 16 წლამდე შეამცირა. ამასთან, ზოგიერთი გერმანული მიწა, შვეიცარიის კანტონი და ბრიტანეთის სამი სამონარქო ტერიტორია უფლებას იძლევა არჩევანი გაკერთდეს 16 წლის ასაკიდან. „ამ ნაბიჯით, ახალგაზრდები თავს უფრო ჩართულად იგრძნობენ, და სავარაუდოდ უფრო ჩაერთვებიან

პოლიტიკურ პროცესებში, როდესაც გაიზრდებიან. ეს აფართოებს დემოკრატიას და პოლიტიკას ძირითადში უფრო წარმომადგენლობითს ხდის" – განაცხადა მოხსენების ავტორმა მილოშ ალიგურუდიჩმა (სერბია). მოგეხსენებათ, საქართველო 1999 წლიდან ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრია, მისი რეკომენდაციები კი შესაძლებელია სავალდებულოდ აქციოს ეროვნულმა მთავრობებმა.

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლებაში არჩევის ასაკი 18, 21, 25 და 30 წლიდან მერყეობს. თითოეული ქვეყანა დეფინიციისას რამდენიმე ფაქტორს ეყრდნობა: ქვეყნის ისტორიულ მეხსიერებას და არსებულ სოციალურ სისტემას, მოქალაქეთა რაოდენობას, პირთა ქონებრივ მდგომარეობას, არჩეულ მმართველობით ფორმას და სხვა. საქართველოში არჩევითობის ასაკი წარმომადგენლობით ორგანოებში გონივრულ ვარაუდს ეფუძნება, რა დროსაც პირი შესაძლებელია ახორციელებდეს დაკისრებულ მოვალეობებს. კონსტიტუციაში ცვლილებები, რომელიც ახლა საყოველთაო განხილვის ფორმატში მოქმედებს, საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ორგანოში 2012 წლის თებერვალში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას გახდა აქტუალური, როდესაც მმართველი გუნდის პირველმა პირმა საზოგადოებას ამცნო, რომ მოვიდა დრო, „არსებული ხელისუფლების შემცვლელი არა ,,ჯონდები და მათი პატრონები", არამედ მომავალი თაობა იქნება, რომელიც პოლიტიკაში ახლა მოდის." (სტილი დაცულია) მანამდე ჩავარდა წინადადება პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. "ნაციონალური მოძრაობისა" და რამდენიმე პარტიას შორის გაფორმებული საარჩევნო შეთანხმების თანახმად, პარლამენტის წევრთა რაოდენობა, 150-იდან 190-მდე უნდა გაზრდილიყო, მაშინ, როცა 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, პარლამენტართა რაოდენობა 235-იდან 150-მდე შემცირდა.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ინიციატივები დღემდე საზოგადოების უმრავლეოსობის ნაკლებ მხარდაჭრას იმსახურებს, რასაც სოციალურ მედიაში არსებული შეხედულებები ცხადყოფს. მოცემულობა მიუთითებს, რომ ძალაუფლებაში მყოფი ადამიანები კანონს საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისთვის ირგებენ, რასაც საერთო არაფერი აქვს მოსახლეობის ჭეშმარიტ ინტერესებთან. ფაქტი ერთია – მოცემულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სამართლებრივ სისტემაში, 21 წლიდან პარლამენტის წევრის არჩევის დაშვება მიზანშეწონილი ვერ იქნება. საკანონმდებლო ხელისუფლება არ წარმოადგენს ექსპერიმენტულ ორგანოს, სადაც სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას შეიძლება ჰქონდეს არასტაბილური გარემო. საქართველოში 18 წლის ასაკიდან გარანტირებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც თავისთავად ნიშნავს ახალგაზრდების ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეობაში, ჩართულობას დემოკრატიაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების ჩამოყალიბებაში, თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სათანადო სამოქალაქო განათლება და ისეთი განათლების სისტემა, რომლითაც 21 წლის ასაკი უყოყმანოდ ჩაითვლებოდა კანონმდებლის მაღალი მისიის შესასრულებლად. ამიტომაცაა სხვადასხვა ევროპის, აზიის თუ კონტინეტურ ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოში არჩევისთის დაწესებული განსხვავებული ასაკი.

რა ვითარება გაქვს ამ თვალსაზრისით მთელ რიგ ქვეყნებში? როგორია საქართველოს მეზობელი

სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების ასაკობრივი ზღვარი? დავიწყოთ ქვეყნებით, სადაც ეროვნული კონსტიტუციებით აღიარებულია 21 წლის ასაკიდან დეპუტატთა არჩევა. აღნიშნული სახელმწიფოებია: ლატვია, ჩეხეთი, ავსტრალია, ლუქსენბურგი, პოლონეთი, ესტონეთი, ბელგიის სამეფო, ბულგარეთი, მექსიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, იტალია, კვიპროსის რესპუბლიკა, სლოვაკეთი და ისრაელი, თუმცა ჩეხეთის, პოლონეთის, მექსიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის ორპალატიანი პარლამენტის სენატების დაკონპლექტების ასაკობრივი ბარიერი გაცილებით რთულია. კერძოდ, ჩეხეთსა და იტალიაში სენატორი შეიძლება გახდეს პირი 40 წლის ასაკიდან, პოლონეთში – 30 წლიდან, ხოლო მექსიკის შეერთებულ შტატებში კი 25 წლიდან. გავყვეთ სხვა ქვეყნებს, სადაც საქართველოს მსგავსად, საკანონმდებლო ორგანოში არჩევა შეუძლიათ 25 წლის ასაკიდან. ასეთი სახელმწიფოებია: ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა (სხვათაშორის, მომდევნო მოწვევის დეპუტატების ასარჩევად ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და დეპუტატთა რაოდენობაც მის შესაბამისად დგინდება), იაპონია, ლიტვა, საბერძნეთი, საფრანგეთი (ქვედა პალატაში ასარჩევად კანდიდატი მინიმუმ 23 წლის უნდა იყოს), ინდოეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თუმცა ტაჯიკეთშიც, იაპონიასა და ინდოეთშიც ორპლატიანი პარლამენტის ზედა პალატების ასაკობრივი ცენზი მაღალია. ტაჯიკეთის მაჯლისი მილი აირჩევა 35 წლის ასაკიდან, ხოლო იაპონიის მრჩეველთა პალატა და ინდოეთის შტატების საბჭო 30 წლიდან. რამდენიმე ქვეყნის კონსტიტუცია პარლამენტის წევრობისთვის, პირდაპირ მაღალ ასაკობრივ ზღვარს აწესებს. კერძოდ, კანადის ერთპალატიანი პარლამენტის სენატორობის მთავარი პირობაა: „იგი სრულად უნდა იყოს 30 წლი ასაკს მიღწეული, სენატში ადგილს იკავებდეს სამუდამოდ, თუმცა გადადგომა დგება დღის წესრიგში, თუკი პირი სენატში ადგილს იკავებს 75 წლის ასაკის მიღწევამდე." ყაზახეთში დეპუტატი შეიძლება იყოს ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობა არანაკელბ ხუთი წლისა. ქუვეითის ერთპალატიანი ეროვნული კრება მაჯლისს ალ–უმმა კი შედგება არანაკლებ 30 წლამდე მიღწეული პირებისაგან, რომლებიც, კანონის შესაბამისად დაბადებულია ქუვეითელი, გააჩნია ამომრჩევლის უფლება და ფლობს არაბულ წერა–კითხვას. ისეთ ტრადიციულად საპარლამენტო ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები, საკანონმდებლო ორგანოში კანდიდატურის წამოყენება შეუძლია პირს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. ანალოგიური ვითარებაა ავსტრიაში (19 წლიდან), რუმინეთში, ესპანეთში, დანია, კუბა, შვეიცარია, გერმანია, ფინეთი, ისლანდია, შვედეთი, სერბეთი, მონაკო და ნორვეგია, სადაც, კონსტიტუციის 61–ე მუხლის ამბობს, რომ დეპუტატად არჩეულ შეიძლება იქნეს ყველა, ვინც სახელმწიფოში ცხოვრობს არანაკლებ 10 წლისა და სარგებლობს საარჩევნო უფლებით, ხოლო 63–ე მუხლის თანახმად, დეპუტატად არჩეული ყოველი პირი ვალდებულია მიიღოს არჩევა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი არაუმეტეს არჩევნების ჩატარების წელს მიაღწია 60 წლის ასაკს. აქვე ერთი აღნიშვნაც – რადგანაც ევროპაში საკანონმდებლო ორგანოს მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 18–25 წლებში მერყეობს, ანალოგიური ვითარებაა ევროპარლამენტშიც. ევროპარლამენტში ზღვარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობს კანდიდატი და როგორია ამ ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა.

საინტერესოა ვითარება საქართველოს სამეზობლოშიც. რუსეთში ქვეყნის ორპალატიანი ფედერალური კრება აირჩევა 21 წლის ასაკიდან. სასომხეთში ერთპალატიანი კრება აირჩევა 25 წლის ასაკიდან. აზერბაიჯანში ერთპალატიანი მილი–მეჯლისი 25 წლის ასაკიდან, უკრაინაში ერთპალატიანი უმაღლესი რადა 21 წლის ასაკიდან, ბელორუსიაში წარმომადგენლელთა პალატა კონპლექტდება 21 წლიდან, ხოლო რესპუბლიკის საბჭო 30 წლის ასაკიდან, ბულგარეთი დეპუტატებს ირჩევს 21 წლის ასაკიდან, ხოლო თურქეთის რესპუბლიკაში ერთპალატიანი დიდი ეროვნული კრება ეფუძნება კონსტიტუციის 76–ე მუხლის მთავარ პრინციპს, რომლის თანახმადაც, „ყოველ თურქს 30 წლის ასაკიდან აქვს დეპუტატობის უფლება."

საქართველოს პარლამენტის წევრის არჩევის ასაკთან ერთად, ახლა აქტიურად განიხილება საკანონმდებლო ინიციატივა, რომელის თანახმადაც, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 21 წლიდან, რომელიც დაბადებულია საქართველოში, ბოლო 10 წელი ცხოვრობს საქართველოში და არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე. მოქმედი კონსტიტუციით, მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა, არ შეიძლება იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი ან პრეზიდენტი, ეს ცვლილება კი ამ ბარიერს ავტომატურად აუქმებს.

ფაქტია, აღნიშნული ინიციატივები არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე გამოსავლის ძიება უფროა, ვიდრე კანონის ჭეშმარიტი მიზანი.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქციის აღდგენის, შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობაც და მისი ასაკიც კიდევ ერთხელ გადაიხედება, რადგანაც პარლამენტის შემადგენლობაში იარსებებს ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო – პროპორციული წესით და სენატი – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებში, ქვეყნის სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებით და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრით).

ქვეყნები, სადაც პარლამენტის წევრობის ასაკი 21 წლის ასაკიდან დგება

ლატვია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ბელგიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. შედგება სენატისგან და დეპუტატთა პალატისაგან. მოსახლეობა 10.392,226 (2007 წ)

ჩეხეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ჩეხეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – შედგება ორი პალატისაგან – სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. მოსახლეობა 10 220 911 (2008 წ)

ავსტრალია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ავსტრალიაში მოქმედებს ორპალატიანი ფედერალური პარლამენტი. მოსახლეობა 20 600 856 (2008 წ)

ლუქსენბურგი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ლუქსემბურგში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – დეპუტატთა პალატა. მოსახლეობა 486 006 (2008 წ)

პოლონეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. პოლონეთში მოქმედებს პარლამენტი ორი პალატისაგან – სეიმისა და სენატისაგან. მოსახლეობა 38 500 696 – (2008 წ)

ესტონეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ესტონეთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი რიიგიკოგუ ანუ სახელმწიფო კრება. მოსახლეობა 1, 324, 333 (2006 წ)

ბელგიის სამეფო – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ბელგიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. შედგება სენატისგან და დეპუტატთა პალატისაგან. მოსახლეობა 10.392,226 (2007 წ)

მექსიკის შეერთებული შტატები – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. მექსიკაში მოქმედებს ორპალატიანი ეროვნული კონგრესი. შედეგება სენატისა და დეპუტატთა ფედერალური პალატისაგან. მოსახლეობა – 108.700.891 (2007 წ)

ირლანდია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ირლანდიაში მოქმედებს ბიკამერალური ეროვნული პარლამენტი. ქვედა პალატა – წარმომადგენელთა პალატა და სენატი. მოსახლეობა 3.924,140 (2003 წ)

იტალია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. იტალიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. მოსახლეობა – 58.147.733 (2007 წ)

კვიპროსის რესპუბლიკა – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. კვიპროსში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – წარმომადგენელთა პალატა. მოსახლეობა – 788.457 (2007 წ)

სლოვაკეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. სლოვაკეთში მოქმედებს ერთპალატიანი ეროვნული საბჭო. მოსახლეობა – 5. 447.502 (2007 წ)

ისრაელი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ისრაელში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი ქნესეთი. მოსახლეობა 7 112 359 (2008 წ)

განსაკუთრებული აღნიშვნა

ჩეხეთის, პოლონეთის, მექსიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის **ორპალატიანი პარლამენტის – სენატების** დაკონპლექტების ასაკობრივი ბარიერი გაცილებით რთულია. კერძოდ, ჩეხეთსა და იტალიაში სენატორი შეიძლება გახდეს პირი 40 წლის ასაკიდან, პოლონეთში – 30 წლიდან, ხოლო მექსიკის შეერთებულ შტატებში კი 25 წლიდან.

ქვეყნები, სადაც პარლამენტის წევრობის ასაკი 25 წლის ასაკიდან დგება

ამერიკის შეერთებული შტატები – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. ამეიკაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – სენატი და კონგრესი. მოსახლეობა 303 824 646 (2008 წ)

არგენტინა – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. არგენტინაში მოქმედებს დეპუტატთა პალატა. მოსახლეობა 40 677 348 (2008 წ)

იაპონია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. იაპონიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – მრჩეველთა და წარმომადგენლობითი პალატა. მოსახლეობა 127 288 419 (2008 წ)

ლიტვა – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. ლიტვის პარლამენტი შედგება ერთპალატიანი პარლამენტის ანუ სეიმის სახით. მოსახლეობა 3 565 205 (2008 წ)

საბერძნეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. საბერძნეთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა 10 722 816 (2008 წ)

საფრანგეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. საფრანგეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამეტი, შედგება სენატისა და ეროვნული კრებისგან. მოსახლეობა 64 057 790 (2008 წ)

ინდოეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. ინდოეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატა – შტატების საბჭო და ქვედა პალატა – სახალხო პალატა. მოსახლეობა – 1.129.866.154 (2007 წ)

ყირგიზეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. ყირგიზეთთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა – 5.213.898 (2006 წ)

ტაჯიკეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. ტაჯიკეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – მაჯლისი ოლი და მაჯლისი მილიში. მოსახლეობა – 7.076.598 (2007 წ)

ქვეყნები, სადაც პარლამენტის წევრობის ასაკი 18 წლის ასაკიდან დგება

დიდი ბრიტანეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – ლორდთა პალატა და თემთა პალატა. მოსახლეობა – 60.270.708 (2004 წ)

ნიდერლანდები – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. ნიდერლანდებში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – გენერალური შტატები. მოსახლეობა – 16.570.613 (2007 წ)

ავსტრია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 19 წლის ასაკის მქონე პირს. ავსტრიაში მოქმედებს ორპალატიანი ფედერალური კრება. მოსახლეობა 8 205 533 (2008 წ)

რუმინეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. რუმინეთში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც იყოფა სენატად და დეპუტატთა პალატად. მოსახლეობა 22.303.552 (2006 წ)

ესპანეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. ესპანეთში მოქმედებს გენერალური კორტესები – სენატი და დეპუტატთა კონგრესი. მოსახლეობა 40, 397, 842 (2006 წ)

დანია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. დანიაში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – ფოლკეტინგი. მოსახლეობა 5 484 723 (2008 წ)

კუბა – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. კუბაში მოქმედებს ერთპალატიანი სახალხო ხელისუფლების ეროვნული კრება. მოსახლეობა11 423 952 (2008 წ)

შვეიცარია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. შვეიცარიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა 7 581 520 (2008 წ)

გერმანია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. გერმანიაში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. ქვედა პალატა ბუნდესტაგი და ზედა პალატა ბუნდესრატი. მოსახლეობა 82, 422,299 (2006 წ)

ფინეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. ფინეთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა 5 244 749 (2008 წ)

ისლანდია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. ისლანდიაში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – ალთინგი. მოსახლეობა – 301.931 (2007 წ)

შვედეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. შვედეთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა – 9.031.088 (2007 წ)

სერბეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. სერბეთში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი. მოსახლეობა– 10.150.265 (2007 წ)

მონაკო – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. მონაკოში მოქმედებს ერთპალატიანი ეროვნული საბჭო. მოსახლეობა – 32 671 (2007 წ)~

ნორვეგია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 18 წლის ასაკის მქონე პირს. ნორვეგიაში მოქმედებს მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – სტორტინგი. მოსახლეობა 4.610. 820 (2006 წ)

საქართველოს სამეზობლო

რუსეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. რუსეთში არსებობს ორპალატიანი ფედერალური კრება, რომელიც შედგება ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან. მოსახლეობა 140 702 094 (2008 წ)

სომხეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. სომხეთში მოქმედებს ერთპალატიანი ეროვნული კრება. მოსახლეობა 2 971 650 (2008 წ)

აზერბაიჯანი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 25 წლის ასაკის მქონე პირს. აზერბაიჯანში მოქმედებს ერთპალატიანი ეროვნული კრება – მილი მეჯლისი. მოსახლეობა 8 177 717 – (2008 წ)

უკრაინა – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. უკრაინაში მოქმედებს ერთპალატიანი პარლამენტი – უმაღლესი რადა. მოსახლეობა 46.710. 816 (2006 წ)

ბელორუსია – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს, ხოლო რესპუბლიკის საბჭო 30 წლის ასაკიდან. ბელორუსიაში მოქმედებს წარმომადგენლობითი პალატა. მოსახლეობა 9 685 768 (2008 წ)

ბულგარეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 21 წლის ასაკის მქონე პირს. ბულგარეთში მოქმედებს ერთპალატიანი ეროვნული კრება. მოსახლეობა 7.322.858 (2007 წ)

თურქეთი – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია 30 წლის ასაკის მქონე პირს. თურქეთში მოქმედებს ერთპალატიანი დიდი ეროვნული კრება. ქვეყნის კონსტიტუციის 76–ე მუხლი ფორმულირებულია: „ყოველ თურქს 30 წლის ასაკიდან აქვს დეპუტატობის უფლება." მოსახლეობა 70.413.958 (2006 წ)